



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.
www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 5
25/01/2017

5-03-4-201701251850



განკარგულება №5
25 იანვარი 2017 წელი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის
მე-2 ნაწილის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე
მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და გეგმა
თანახმად დანართი №1 და N2-სა.

მუხლი 2. ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზების
მიზნით მიზანშეწონილია აღნიშნული ქონების პრივატიზება აუქციონის წესით.


მუხლი 3. კონტროლი აღნიშნულ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას (კომისიის თავმჯდომარე მ.
მახაროზლიძე)

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის
დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016
წლის 11 თებერვლის N9 განკარგულება.

მუხლი 5. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა